# საქართველოს მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრობლემები და პერსპექტივები (ასპინძის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

**გიორგი კაპანაძე**

ელ-ფოსტა: giorgi.kapanadze@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი. ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

მთიანი ტერიტორიების გამოყენების ფორმები და მასთან და კავშირებული პრობლემები პირდაპირ კავშირშია ქვეყნის განვითარების დონესთან. თუ განვითარებად ქვეყნებში მთიანი რეგიონები „გამოირჩევიან“ ეკონომიკური ჩამორჩენილობით, სოციალური დაძაბულობით და მიგრაციის მაღალი მაჩვენებლებით, საპირისპირო ვითარებაა განვითარებულ ქვეყნებში. აქ მთიანი რეგიონები უკვე ჩამოყალიბდნენ ტურისტულ ცენტრებად და ხასიათდებიან ცხოვრების მაღალი დონით.

კვლევაში განხილულია მდგრადი განვითარების თეორიული საფუძვლები, პრინციპები და მეთოდოლოგია, ასევე მსოფლიოს ცალკეული რეგიონების და საქართველოს მდგრადი განვითარების პრობლემები.

ნაშრომში განიხილულია საქართველოში არსებული „მთის კანონი“ რომელიც შედარებულია საქართველოში აქამდე არსებულ „კანონთან“ და მსოფლიოს მაღალმთიანი განვითარებული ქვეყნების „მთის კანონთან“.

კვლევის ობიექტია ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, სადაც საველე და კამერალური კვლევის შედეგად განხილულია ყველა პრობლემა რაც წარმოდგენილია საკვლევ ტერიტორიაზე. ნაშრომში ასევე განხილულია ასპინძის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ეტაპები (განხილულია ის ისტორიული ან გეოგრაფიული პროცესები რომელიც ხელს უშლიდა ასპინძის მუნიციპალიტეტის განვითარებას).

სოციალური გამოკითხვის შედეგად მოსახლეობასთნ ერთად განხილულია ასპინძის მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტივები.

არსებული და ახალი ინფორმაციის შედეგად შეიქმნა სხვადასხვა ცხრილები
და თემატური რუკები გეოსაინფორმაცო სისტემებში (GIS).